

# საპრეზენტო

პროფესიონალი  
ბიზნისი

საქართველოს  
ფეხბურთის  
ფედერაცია

საორბული გავითი ბაგოიდავა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 25 ივნისი 1994 № 32 (107) ფასი 50 000 კუპონი


## WorldCupUSA94

### პრეზენტინა — ნიგერია!

დღეს. 24.00




კლემენს ვისტერჰოფი:



### ბიჭები გდვნიან ყველაფერს.

კლივს გააკაგა. ერთი სული ავთო.  
ყველას კიდევ ერთხელ დაუმტკიცონ  
თავიანთი კალა. მარადონას დაჭირას  
ალბათ ავბუსტინ თკოჩას მივანდობ...

...ამასობაში როგორც იქნა, გაიღიმა  
არიგო საბიმ. მის გუნდს  
ნორვეგიასთან მრავალი ფათერაპი  
გადანდა. მამრამ ჯუჯუვა სინიორისა  
და დინო ბაჯოს ფყალობით მიინც  
გაიმარჯვა



2.15. ნუხანდელი თავაპი

## მექსიკა — ირლანდია 2:1

იტალიასთან თამაშის მერე ორი ირლანდიელი ავად გახდა: თაუნსენდს ალერგია შეეყარა, კინმა კი სითხის ნაკლებობის გამო გონივ კი დაკარგა, მაგრამ გუშინდლისთვის ორივე მოკეთდა. სამაგიეროდ, მერე მატჩი გამოტოვა ტონი კასკარინომ, რომელიც ვარჯიშს ორშაბათისა შეუდგება.  
მიველ მეზია ბარონი უკო სანესსაც არ დაერიდა და მისიანდ ოთხი კაცი გამოცვალა. თავიდან ბოლივია — კორეის ბადალი სანახოზა განაღდა: თვალს მექსიკელი მეკარის კრეულაურულა სამოხი თუ წარიტაცებდა, თუმცა, კამპოსმა თაუნსენდის თაურიც მოიგერია. ტაიმის ბოლოს ბერნალისა და ერმოსილიოს გათამაშებული ბურთი საჯარიმოს ხაზიდან

ლუის გარსიამ კარში ჩააჭყლა, მერე ტაიმში კი ამან და მერე გარსიამ, ასევე მთლად შეიკლეს მანამდე უშეცდომოდ მოთამაშე ბები და მაგრაითი და არც ბონერს დაკლეს ხელი.  
შედაკრული ირლანდიელები უშეცდოდ დალასლასებდნენ და მოედანი წყლის ნახშირი პაკეტებით მოფინეს. ერთი საპასუხო გოლი კი მერე ტაიმში გამოსულეებმა, მაკეიტირმა და ოლდრიჯმა, ძი უსსლივობითა გაანარხეს.  
E ჯგუფში ოთხივე გუნდმა 3-3 ქულა დააკრევა. 3 ივნისს, ბოლო ტურში ყველაზე ცუდ დღეში შეიძლება ირლანდია ჩავარდეს: მისი ორივე განაპირა მცველი ორი გაფრთხილების გამო ვერ ითამაშებს.

18. E ჯგუფი. II ტური  
ორლანდია, 24 ივნისი  
მექსიკა: კამპოსი, როდრიგესი (გუტიერესი 80), პერალესი, სუარესი, დელ ოლმო, ამბრისი, ბერნალი, გარსია ასპე, ზაგუ, ლუის გარსია, ერმოსილიო (სალვადორი 80)  
ირლანდია: ბონერი, ირვინი, მაგრაითი, ბები, ფილანი, პავთონი, შერიდანი, თაუნსენდი, სთონიონი (მაკეიტირი 46), კინი, კოინი (ოლდრიჯი 67)  
1:0 ლუის გარსია (44)  
2:0 ლუის გარსია (66)  
2:1 ოლდრიჯი (83)  
გაფრთხილება: ირვინი (26, II), დელ ოლმო (45), კამპოსი (57), ფილანი (70, II)  
მსაჯი: კროტლისბერგერი (შვეიცარია)  
„საბოილეს“ რეჟული: ლუის გარსია  
გამუშა ჩიხლაპი

| A ჯგუფი        |                |   |                |   |       |
|----------------|----------------|---|----------------|---|-------|
| 18 ივნისი      | აშშ            | — | შვეიცარია      |   | 1:1   |
| 18 ივნისი      | კოლუმბია       | — | რუმინეთი       |   | 1:3   |
| 22 ივნისი      | რუმინეთი       | — | შვეიცარია      |   | 1:4   |
| 22 ივნისი      | აშშ            | — | კოლუმბია       |   | 2:1   |
| შვეიცარია      | 2              | 1 | 1              | 0 | 5-2 4 |
| აშშ            | 2              | 1 | 1              | 0 | 3-2 4 |
| რუმინეთი       | 2              | 1 | 0              | 1 | 4-5 3 |
| კოლუმბია       | 2              | 0 | 0              | 2 | 2-5 0 |
| 26 ივნისი      | აშშ            | — | რუმინეთი       |   | 24.00 |
| 26 ივნისი      | შვეიცარია      | — | კოლუმბია       |   | 24.00 |
| B ჯგუფი        |                |   |                |   |       |
| 19 ივნისი      | კამერუნი       | — | შვედეთი        |   | 2:2   |
| 20 ივნისი      | ბრაზილია       | — | რუსეთი         |   | 2:0   |
| 24 ივნისი      | ბრაზილია       | — | კამერუნი       |   | 24.00 |
| 24 ივნისი      | შვედეთი        | — | რუსეთი         |   | 03.30 |
| ბრაზილია       | 1              | 1 | 0              | 0 | 2-0 3 |
| შვედეთი        | 1              | 0 | 1              | 0 | 2-2 1 |
| კამერუნი       | 1              | 0 | 1              | 0 | 2-2 1 |
| რუსეთი         | 1              | 0 | 0              | 1 | 0-2 0 |
| 28 ივნისი      | რუსეთი         | — | კამერუნი       |   | 24.00 |
| 28 ივნისი      | ბრაზილია       | — | შვედეთი        |   | 24.00 |
| C ჯგუფი        |                |   |                |   |       |
| 17 ივნისი      | გერმანია       | — | ბოლივია        |   | 1:0   |
| 17 ივნისი      | ესპანეთი       | — | კორეა          |   | 2:2   |
| 21 ივნისი      | გერმანია       | — | ესპანეთი       |   | 1:1   |
| 23 ივნისი      | კორეა          | — | ბოლივია        |   | 0:0   |
| გერმანია       | 2              | 1 | 1              | 0 | 2-1 4 |
| ესპანეთი       | 2              | 0 | 2              | 0 | 3-3 2 |
| კორეა          | 2              | 0 | 2              | 0 | 2-2 2 |
| ბოლივია        | 1              | 0 | 1              | 1 | 0-1 1 |
| 27 ივნისი      | ბოლივია        | — | ესპანეთი       |   | 24.00 |
| 27 ივნისი      | გერმანია       | — | კორეა          |   | 24.00 |
| D ჯგუფი        |                |   |                |   |       |
| 21 ივნისი      | არგენტინა      | — | საბერძნეთი     |   | 4:0   |
| 21 ივნისი      | ნიგერია        | — | ბულგარეთი      |   | 3:0   |
| არგენტინა      | 1              | 1 | 0              | 0 | 4-0 3 |
| ნიგერია        | 1              | 1 | 0              | 0 | 3-0 3 |
| ბულგარეთი      | 1              | 0 | 0              | 1 | 0-3 0 |
| საბერძნეთი     | 1              | 0 | 0              | 1 | 0-4 0 |
| 25 ივნისი      | არგენტინა      | — | ნიგერია        |   | 24.00 |
| 26 ივნისი      | ბულგარეთი      | — | საბერძნეთი     |   | 20.30 |
| 30 ივნისი      | საბერძნეთი     | — | ნიგერია        |   | 03.30 |
| 30 ივნისი      | არგენტინა      | — | ბულგარეთი      |   | 03.30 |
| E ჯგუფი        |                |   |                |   |       |
| 18 ივნისი      | იტალია         | — | ირლანდია       |   | 0:1   |
| 19 ივნისი      | ნორვეგია       | — | მექსიკა        |   | 1:0   |
| 23 ივნისი      | იტალია         | — | ნორვეგია       |   | 1:0   |
| 24 ივნისი      | მექსიკა        | — | ირლანდია       |   | 2:1   |
| მექსიკა        | 2              | 1 | 0              | 1 | 2-2 3 |
| ირლანდია       | 2              | 1 | 0              | 1 | 2-2 3 |
| იტალია         | 2              | 1 | 0              | 1 | 1-1 3 |
| ნორვეგია       | 2              | 1 | 0              | 1 | 1-1 3 |
| 28 ივნისი      | ირლანდია       | — | ნორვეგია       |   | 20.30 |
| 28 ივნისი      | იტალია         | — | მექსიკა        |   | 20.30 |
| F ჯგუფი        |                |   |                |   |       |
| 19 ივნისი      | ბელგია         | — | მაროკო         |   | 1:0   |
| 20 ივნისი      | ჰოლანდია       | — | საუდის არაბეთი |   | 2:1   |
| ჰოლანდია       | 1              | 1 | 0              | 0 | 2-1 3 |
| ბელგია         | 1              | 1 | 0              | 0 | 1-0 3 |
| საუდის არაბეთი | 1              | 0 | 0              | 1 | 1-2 0 |
| მაროკო         | 1              | 0 | 0              | 1 | 0-1 0 |
| 25 ივნისი      | ბელგია         | — | ჰოლანდია       |   | 20.30 |
| 25 ივნისი      | საუდის არაბეთი | — | მაროკო         |   | 20.30 |
| 29 ივნისი      | მაროკო         | — | ჰოლანდია       |   | 20.30 |
| 29 ივნისი      | ბელგია         | — | საუდის არაბეთი |   | 20.30 |



PERSONA GRATA

ტონი მეოლა

ანტონიო მიქაელ მეოლა დაიბადა 1969 წლის 21 თებერვალს ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ბელივილში

ნათამაშები აქვს მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე

ამერიკის საკრების მწვრთნელს ბორა მილუტინოვიჩს მეკარედ ორიდან ერთი უნდა ამოერჩია: ან „მილიულის“ კეისი კე-ლინი, ვინც ბოლო სეზონში კლუბის საუკეთესო მთამაშე გახდა, ან მხოლოდ საკრებში პრაქტიკული იყო ტონი მეოლა.



უილტონის რეპორტაჟი მეოლაზე

ტონი „ჯაინთ სტადიუმისგან“ სამი მილის მოშორებით იზრდებოდა. ეს ის დრო იყო, ამერიკის საფეხბურთო ლიგას საქმე აღმა რომ მისდობდა და ნიუ-იორკის „ჯაინთს“ 80 ათასი მაყურებელი მიჰყავდა.

იგივე ტაძარიც მეოლაზე, კარდინ შორს ყოფნის კი ვერაფრით ვეგუბები. რა გასაკვირია, რომ ამდენი ბურთი გამოვიდა? ჩემპიონატის შემდეგ ტონი ევროპაში მოხვდა – ინგლისის გა-ემგზავრა, სადაც მთელი დრო „უოტფორდის“ და „ბრაიტონის“ სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

ამასობაში კატორღელებიც აკვირდებოდნენ ტონის, მაგრამ მეოლა შორს დაიწერა „ნიუ-იორკ თანკის“ წინადადება, ბურთის ნაცვალად კეტი აიღო ხელში და 1988 წელს, 18 წლისამ აშშ-ის საკრებში პირველი მატჩი ითამაშა ვაგტემალს წინააღმდეგ.

ასე აღმოჩნდა მეოლა მხოლოდ აშშ-ის საკრების ამირა. იგი უკმაყოფილო იმით, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების საკრებს მხოლოდ ამხანაგური თამაშების გამართვა უწევდა: „როცა მოედანზე გახვალ, იგრძნობ, რომ ეს თამაშები ამ-ხანაგური კი არა, მტრულია. მთამაშესაც აქვს ფსიქიკა და ყო-ველი შუბვედრის შემდეგ იგი ნელ-ნელა ერგება. თუმცა, რას იზამ, ამერიკაში საფეხბურთო ლიგა არა ვაჟექს, ევროპაში კი მხოლოდ ზოგიერთს უწევს ასპარეზობა“.

აქველი ამერიკელი ფეხბურთელებისთვის ჩემპიონატის თამაშები პირველიდან გაცვითი იყო. 21 წლის მეოლაზე 5 ბურთი ჩიხოსლოვაკიასთან გაუშვა ერთი – იტალიასთან და ორი – ავსტრიასთან. ამ წარუმატებლობის მან ლიგაში უწოდა: „მწვრთნელი ბოზ განსლერი მაიძულებდა, კოლუმბიელი რენე

მეოლას ოცნება გააუმჯობესოს პიტერ შილტონის რეკორდი (125 მატჩი საკრებში). ეს არ ვაგლათი საფეხველს მოკლე-ბული ახრი, რადგან ბევრ მეკარეს არ ღირსება 25 წლის ასაკში მთავრად ეთამაშა მსოფლიო ჩემპიონატზე. ზოგჯერ წარმატებით გამოხდის იმედი აქცს: ამჯერად წინა ჩემპიონატზე სამ სამარცხვინოდ წაებულ მატჩზე უკეთ უნდა ვიასპარეზოთ, თუმცა შინ თამაში ძალიან მძელი იქნება“.

მერაბ რატიშვილი

PERSONA GRATA

ადრიან პნუპი



დათარსულ მეოლაბარს ვერმანულ კლუბში გადასვლა შტეფან შაპინსამ ურნია. დორტმუნდის „ბორუსიას“ კარგად მორგებულ შაპინსამ ამ ქვეყანაში უკვე წარსული გამოცდილება ჰქონდა და მის ფეხბურთში ისე გარკვეულიყო, რომ კნუპს კონკრეტული კლუ-ბი, „შტუტგარტი“ შეურნია. მშობლიურ შვეიცარიაში კი ად-რიანის საქმე დაღმა მიდიდა.

დაიბადა 1968 წლის 2 ივლისს ბაზელში. სიმაღლე 184 სმ ნონა 80 კგ

კლუბები: ბაზელი, ლუცერნი, არაუ, შტუტგარტი.

მიღწევები: 1992 წლის შვეიცარიის თასის მფ-ლობელი.

დათარსული კასი

დანვე მარჯვენა თვდამხმელი იყო და თურთ გოლებს გა-ტანა ენერგოვდა. ანაღვარდა ადრიანმა სპეციალისტებისა და გულშემატკივრების გარდა ლაშასხანთა ყურადღებაც იმთავითვე მიიპყრო, და საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთი-ორჯერ ურნა-ლისტებს განუცხადა გარჯის ქალებთან ყოფნა მიჩვევითაო.

თუმცა სვამხრე იგრან კნუპი ის მთამაშეა, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ხუთი ბურთი რომ შეაგლო და ჯგუფში გატანა გოლებით რიბერტო ბაუოს გაუტოლდა. მათვე მუტი მხოლოდ შტეფან შაპინსამ გაიტანა – 6 გოლი. დათარსულმა კაცმა ამერიკაშიც გამოიჩინა თავი და რუმინელე-ბთან ამასწინაწინდელ მატჩში საგოლე კასი ჩაწოდა და თავდაც-ორჯერ გააწობდა ნაკები მეკარე სტეფან.

ილია ბაბუნაშვილი

ბრაზილიელთა მოგება თუ ქართველთა მარცხი

საქართველო 0:1 პალმეირასი

ბათუმი, „დინამოს“ სტადიონი 21 ივნისი, 12000 მაყურებელი

რ. არველაძე, ნეშაძე, ჯამარაული (ტუ-ლუმი 46), კაჭარავა, ინალიშვილი, შ. არველაძე

არ ვიცი, ტელევიზორში როგორ ჩანდა ჩვენი ეროვნული საკრების თამაში, მაგრამ საქართველო – „პალმეირასის“ მატჩის ბოლოს შიშმა შემიპყრო – ამ თამაშით არამც თუ გერმანელებს, ბულგარელებსა და უელსელებს ვერ ვძლევით, მოლოდინისა და აღახნითან წაგავებით შინ...

ყოველივე ეს იმისთვის პარადასი-მი ახრია, მინდვიდან ორიოდე საბიჯით მოშორებულმა რომ დავინახე. ღმერთმა ქნას ცვლილება და საქართველოს საკრებმა მეტოქეთ ბდღვირი ადინოს, მაგრამ ასეთი ფიზიკური და უპირველეს ყოვლისა ფსი-ქოლოგიური მომზადებით ვიმეორებ, შინ აუტსაიდლებთანაც კი წაგება ვიწივარია. მაპატიეთ გარვენიანობისა და ყველა ფეხბურ-თელმა (და არა მხოლოდ ზოგიერთმა) თამაშში მთელი ჯიჯვარი უნდა ჩადოს. 7 სექტემბრამდე ცოტალი რჩება და საკრების სულმძღველობა ამდგომ თორავ უნდა ათუნოს ღამეები, რათა ბიჭები ამ მატჩს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ.

იმევე საღამოს ნიგერია – ბულგარეთის თამაშს რომ ვუყურებ, წარმოვიგინებ, რა დღეში იქნებოდნენ ჩვენ ფეხბურთელები 11 ივნისის იბადნში ორიცდაათათისაინ „შაქი“ აუდიტორიის წინ. მატჩის შემდეგ რამდენიმე მინი-ინტერ-ვიუც ავიღე: ვალმირ კრუზი („პალმეირასის“ მწვრთ-ნელი): – თქვენებმა თავიდან სწრაფ ტე-პაში დაიწყეს თამაში, მათი შეტევები დი-ნამითრად ვითარდებოდა. შემდეგ კი თამა-შის რიტმი დაკარგეს და ნელ ტემპში გა-აგრძელს. ჩემი აზრით თქვენები ზედმეტად ბევრ გრძელ პასებს აწვიდნენ, საჭირო კი იყო მოკლე-მოკლე პასები, ასე უფრო ფე-ხში თამაში, ჩვენ ბრაზილიაში ვიცდილობთ მთელი თამაში ერთ რიტმში შევავანოთ, თქვენებმა კი პირველი ოხუთმეტი წუთი იბრინეს ინტენსიურად და მერე დადგნენ. იგი მოქმედონა თქვენი საკრები, ბევრი კარ-გი თვისება გააჩნია. ოღონდ ვნა კარგი თვადამხმელები გაკლიათ, გოლებს რომ გაიტანდნენ ისეთები.

მეოლა ძალზე კრიტიკულად ვავასებდი საქართველოს საკრების თამაშს, მაგრამ ვისაც არ ვკითხვ, მაყურებლებს, ბათუმელ თუ ჩამოსულ კოლეგებს, ფეხბურთელთა ახლობელ-სათესავეს, ყველამ იგივე დამი-დასტურა. არადა მატჩის დასაწყისი, დაახ-ლოებით პირველი 15 წუთი საქართველოს საკრებმა ისეთი ტემპითა და ენით დაი-წყო, ვიფიქრებ ბრაზილიელებს ველარაფე-რი უშველით, დიდი ახგარიშით მოვე-გეთ-მეთქი. მარჯვენა ფრთაზე რეზო არ-ველაძე ბატონობდა, წამდაუნუო ატყვებდა მეტოქეთ და ან საბიფითოდ აწვიდა საჯა-რიობაში, ანაც კეთხურს იმსახურებდა, სა-იდანაც კვლავ ხიფათი ექმნებოდა ახოვანი ფერანანდის კარს. ნახევარდაცვაში აქტი-ურბობდა ნეშაძე. ცხადმე ყველა საქარეო დეუელი მოუგო ბრაზილიელებს შინ თუ გა-რით, ისეთი თაურები დაურტყა, სასწაუ-ლით რომ არ გაგდა გოლი. ამასობაში შოთა არველაძე და კაჭარავა ბრაზილიე-ლთა მცველებს ატყრობდნენ. კაჭარავას აქტიურბობას უნდა ვუმადლოდეთ პე-ნალტს, როდესაც კახიმი ფაქტიურად დაკა-რულ ბურთზე იბრძოდა და აქი თერთმე-ტმეტრანიც დამისხურა. მაყურებელი გოლს ელოდა, მაგრამ რეზო არველაძის მიერ დარტყმული პენალტი ზუსტად მარ-ჯვენა ტელთან რომ გადოდა კარში, ფერ-ნანდესმა თავამწიწული ნახტობით შოი-გერია და იქვე დაეფლა კიდევ. დარტყმა რომ ოდნავ ძლიერი ყოფილიყო, მეკარეს ველარაფერი უშველია, იმდენად ზუსტად იყო კეთხემი დარტყმული ბურთი.

არც ამ მატჩსა დაახანა ქართველები და მათ კვლავ წამოიწყეს შეტევები, ერთ მომენტში შოთა არველაძე პირისპირ აღ-მონდა ფერანანდისთან, მაგრამ ვერ მოახერ-ხა გოლის გატანა. საღამო ტაიმის შუაწელიდან ინიციატ-ივა „პალმეირასის“ იგდო ხელთ და იყო მომენტები, კახინით აკონტროლებდნენ ბურთს, ჩვენები რომ ჯერ ენებოდნენ ისე. მეორე ტაიმში უპირატესობა მთლიანად ბრაზილიელთა მხარეს იყო და აქამდე უშეცდომოდ მთამაშე ცხადმეც დაი-წყო შეცდომების დაშვევა, რომლის ლო-გიკური შედეგი გახლდათ ევარიის მიერ ახლო მახინდიდან გატანა გოლი, რი-მელამც შოთად დაახანა ჩვენები. ბრაზი-ლიელები კარგად აკონტროლებდნენ ბურთს და მათთვის სასურველ რიტმში მი-ჰყავდათ თამაში, არც პატარ-პატარა უშა-კობებს თაიკობდნენ; ბურთის შემოტანი-სას რამდენიმე წამის „შოპარავს“ თუ პრო-კოკაიებს. მიუხედავად ამისა უკანასკნელი მატხით ქართველებმა მინც შეძლეს რა-მდენიმე საგოლე მომენტის შექმნა, მაგრამ გატხული ვეღარ გამოთქვას და დამარც-ხებულებმა დასტოვეს მინდორი. საკრების რიგებში არ ჩანდა ფეხბურთელი, რომე-ლიც თავის თავზე აიღებდა თამაშს და ჩვე-ნთვის სასურველ კალაპოტში წაყვებდა თამაშის რიტმს, ზუსტი პასებით მოამარა-გებდა შოთა არველაძესა და კაჭარავას. ვი-საც ეს ყველაზე უკეთ შეეღო – გიორგი ქინქლაძეს, სათადარიგოთა სკამზე იჯდა, რადგან ზედ თამაშის წინ მოიწამლა და გე-რმანიაში ისედაც გართულებული სა-კმლის მომხელელები სისტემა კიდევ უფრო გაიფარეს.

სატჩის დასაწყისში ჩემს მიერ გამოთ-ქული შიშმა იბან გამიწვია, რომ სუსტ ფი-ზიკურ მომზადებას, რაც ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ ჩემპიონატი რამდენიმე დღის დამთავრებულია და ჩვენი ფეხბურ-თელები რიტმიდან ამოვარდნენ, თან დეე-რითი გაუბედარბა და მეტოქის მიმართ ში-ში, რომელიც ისეთ შეცდომებს აშვებინე-ბდა ჩვენებს, ფიზიკური მომზადებიდან ამ-კარად რომ არ გამოდინარობს – ორი-ოდე მეტრში ზუსტ პასს დიდი ფიზიკური კონდიციები არ სჭირდება, ამას უფრო ფსიქოლოგიური ახსნა უნდა ჰქონდეს.

მაგშაბ მკვარცხელი P.S. ბათუმიდან თბილისში დარეკვა უბ-რალი მოკვდვითთვის, ფაქტიურად შეუძ-ლებელია ამიტომაცაა ამ მასალას მოკვიან-ნებით რომ ვთავაზობთ. 23 ივნისს საქართველოს საკრები 14 ფეხბურთელის შემადგენლობით გაემგზა-ვრა ლატვიას იქაურ ეროვნულ საკრებთან შესარკინებლად: ზოიძე, გრიშკაშვილი, ტყეშელაშვილი, ბერაძე, გვიშკარიანი, კაციტა-ბი (კახეთი); ნეშაძე, ჯამარაული, ინალი-შვილი, ქინქლაძე, ტულუში, სეფაშვილი (კახეთი), დევანაშვილი, კაჭარავა.

# სარბიელი

## ფეხბურთის მოყვარულთა ახალი მოსწავლე!

### გაზეთ «სარბიელისა» და სააქციო საზოგადოება «სასტუმრო აჭარის» კლუბი «მესეფი»

მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი მრავალწლოვანი პრაქტიკის პრესაში!

უიდასააკაბლო ქალების საზოგადოებით ნებისმიერი მატჩის ვიდეოჩანაწერის ჩვენება სტუმართა სურვილით!

დენის გამორთვა დაზღვეულია ავტოლომობილი უნარბომობარაგების სისტემით!

თანამედროვე დონის კაფე-ბარის მრავალფეროვანი ასორტიმენტი!

პირველხარისხის სპორტის და მასხივალური კომპლექსი!

გაზეთ «სარბიელის» ტოტალიზატორი CROCO!

ერთჯერადი ბილეთის ფასია 3 000 მანეთი

## გვერდითი სასტუმრო «აჭარის» მე-18 სართულზე

პირველი ივლისიდან ტოტალიზატორი «კოკო» იმუშავებს 17-დან 19 საათამდე, მატჩების მსვლელობისას — ძველებურად, კლუბ «მესეფი»

# აბასი ფეხბურთის ბაიპარსა



ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის უზომო პოპულარობის მიუხედავად, რამაც თითქმის ყველა მოწოდება დაიწყო, თავად სპორტის სამშობლოშიც კი ჩემპიონატის უიბლდონის ტურნირს ოდნავად არ მოკლებია თავისი მსხვერპლები ყურადღება.

ჩემპიონატის სამართლმდებრე უფლებები (პირველად 117 წლის წინ გაიმართა) და ყველაზე პატივცემული ეს ასპარეზობა ბალახის კორტებზე მსოფლიოს ჩემპიონატად ითვლება. 256 მონაწილისთვის განკუთვნილმა სპორტულ ფონდმა წლეულს 9 მილიონ დოლარს გადაუხარა. ბუნებრივი ჩემპიონები ამ სარბიელ ტურნირს თანმიმდევრულად მისწავლიან. არც პირველივე წლებში წაგებულები დარჩნენ ხელცარიელი — მათი «კომპენსაცია» 6 თასს შეადგენს.

დასაწყისში, ვიდრე მთელ დღესაც მუშაობდა გავარდობდა უმთავრესი ფაქტორების შტეფი გრაფის მარცხის ამავე, კირკიტა რეპორტიორები ანდრე აბასის გაპუტული ფეხებით იქცევდნენ თავს. საქმე ისაა, რომ ერთ დროს ირანის ოკეანის გაღმა ემიგრირებული აბასის შთამომავალმა მეგობარი ქალის, უცნობი ვარსკვლავის ბარბარა სტრეინის ახირებით შარშან გულმკერდზე გააბრუნა ჯაგარს ახლა ფეხებიც მათგან და პირველად გაიხიზნა. თუმცა ის კი არ გაუშვლია, ამჯერად ვისი წაქეზებით ჩაიღინა ეს «რასპორტული» საქმე.


ასეა თუ ისე, 24 წლის ამერიკელმა (განთავსების ნომერი 12) ახალი ფეხებითაც დიდი დავიდარაბის გარეშე სძლია იტალი-

ელ ანდრეა გაუდენცის — 6:2, 6:7, 6:3, 6:2 და მეორე წრეში გავიდა პიტ სამპრასის (1), ჯიმ კურის (5), ბორის ბეკერის (7), ანდრე მედვედოვის (9), მაიკლ ჩანგისა (10) და სხვა ფავორიტების მსგავსად.

სამშაბათს კი ტურნირზე გაუგონარი სენსაცია მოხდა — აქამდე არასდროს ყოფილა, რომ წინა წლის ჩემპიონი პირველივე წრეში გამოვარდნილიყო. სწორედ ასე დაემართა უიბლდონის ხუთეზის გამარჯვებულს, ბალახზე თამაშის დილისტატუს გრანდს, რომელმაც ბოლო ოციოდე დღის განმავლობაში მეორე უმძიმესი მარცხი იწვნია. ამჯერად 30 წლის შავანინი ამერიკელი ლორი მაკნიელიმ — 5:7, 6:7.

შტეფის კვალს გაუყვა მეორე გერმანელი ფავორიტი, გრაფივით 25 წლის მიხაელ შტიხი: მსოფლიოს მეორე ჩოგანიც მშრალი ანგარიშით დამარცხდა და ისიც შავანინი ამერიკელის. სადღაც ასეულის ბოლოში მდგომ 28 წლის ბრაიან პეტრინთან მატჩში შტიხის უბედურება მაშინ დაიწყო, როცა პირველ ხელში 3:3-ის დროს ამერიკელმა მობილიარდესაგა უსუსტესი თამაშით შეძლო მეტოქის მოწოდების მოკვება. გერმანელს მთელი შეხვედრა ერთი-მეორე უარესი შეცდომები მოსდიოდა. მესამე სეტში შტიხმა უკანასკნელად გაიმარჯვლა და ერთი პირობა ანგარიში წაიყვანა კიდევ — 2:0, მაგრამ საბოლოოდ მაინც გერმანელს გასდა — 3:6, 3:6, 4:6.

იყონადა სოცელმა ევგენი კაფელინიკოვა (15), რომელმაც სიბნელის გამო მეორე დღისთვის გადადებულ მართონულ შეხვედრაში იტალიელი ლორენცო ტი-



მეგრდგაბარსული აბასი

ლემანი დაამარცხა — 7:5, 6:7, 7:5, 6:7, 11:9. ამერიკელმა სამპრასმა თანამემამულე რინი რენებერგს მოუგო — 6:3, 6:4, 6:2, კურის — ნიმიბველ ბაირონ ბლეკს 6:1, 6:7, 6:3, 6:4, ხოლო კიდევ ერთმა ამერიკელმა ჩანგმა ავსტრალიელ მაიკლ ტებუტს — 3:6, 6:3, 7:6, 6:7, 6:4. განთქმულია აგრეთვე უარესობით მხოლოდ ფრანგ არნო ბუშს (16) მოუწია ვუდა-ნაბადის აკრა რუს ანდრეი ოლზოვსკისთან მარცხის შემდეგ — 2:6, 3:6, 5:7.

სამწევროდ, პირველივე წრეში 128 გამოვარდნილია შორისაა ლეილა მესხიცი, რომელმაც კოლანდიელ ბრენდა შულცთან წააგო.

ბიკ ახალაძე

## კალათბურთი



# «პიუსტონი»: პირველად ისტორიაში

ოთხშაბათს დასრულდა ერთ-ერთი საკალათბურთო ასოციაციის 37-ე ჩემპიონატი. ფინალის მეშვიდე, გადამწყვეტ მატჩში «პიუსტონი» რიკიტსმა შინ 90:84 სძლია «ნიუ-იორკ ნიქსი» და პირველად გახდა ასოციაციის ჩემპიონი. უკანასკნელ კვანძს წყობილში პირველად მოხდა, რომ ჩემპიონი გახდა დასავლეთის კონფერენციის გუნდი.

კვლავ გაიმარჯვინა «პიუსტონის» ცენტრმა აკიმ ოლაჯუნმა — 25 ქულა, 10 მოხსნა. სეზონის უბედურესი მოთამაშის და სეზონის საუკეთესო მცველის ტიტულს ნიკიტსმა კალათბურთელმა «ფინლანდია» სერაიის უბედურესის ტიტულიც დაერთო, რითაც ერთ სეზონში შესაძლებელი ყველა ჯილდო მიითვისა. «ნიუ-იორკი» კი კვლავ შიდასკლებო

ინტრიგაში მოექცა. მატჩისწინა პრესკონფერენციაზე არ მივიდნენ ჯონ სტარკსი და ენტონი მინსონი. ასოციაციამ «ნიქსი» 20 თასის დოლარით დააჯილდოვა. კლუბმა კი, არც აცია, არც აცხელა ჯარიმა ამ ორს მუაზე გაუყო და გადახდა დააკისრა. გრეტელ მასალას ასოციაციის ჩემპიონზე «პიუსტონი» რიკიტსს ერთ-ერთი უზღოვს «სარბიელში» შემოგთავაზებთ.

## რაზმი

# ურჯუბ ლოუს რაღად უხმითო ?!

კანადაში შვედის შემდეგ საფრანგეთი ახალ ზელანდიას ეწვია. უელსი კი — სლვისრეთის კუნძულებს. ფიჯს ზე და ტონგასზე ნამყოფი ბრიტანელები სამოხრე გამართავენ ტესტს და შინ გაემგზავრებიან. ფრანგებს კი «ოლ ბლეუსთან» კვირითობა ორი ტესტი ელით: 26 ივნისს ქრისტოფერში, 3 ივლისს კი — ოკლენდში.

ტესტების გენერალური რეპეტიცია იყო მასინსელთა მეორე ნაკრებთან თამაში, რომელიც გაიმართა ატლანტებულ... ველოტრეკზე, რის გამოც მოედანი ჩვეულებრივზე მოკლე და ვიწრო იყო. მასინსელთა ათამაშეს ყველა, ვინც კი პირველი ტესტისთვის დაიწყო, მათ შორის 10 ნომერი ელისი, ფრთის მორკინალი მაიკლ ჯოუნსი და ნორჩი გარემარბი ვილსონი. მეორე ნახევრის შუაწელში ფრანგები 18:25 აგებდნენ, მაგრამ ბუნაში ივანკოვა — დერეფანში მოწოდებისას ზელანდიელებს მინიმუმები გაუშვირა და ბურთი მოუგო, რაც ლელოთი დამთავრდა.

ტესტ-სერიისთვის «ოლ ბლეუსში» დაბრუნების გარემარბი კერვინი. ქრისტოფერში იგი 59-ე კვანძს მიიღებს. გუნდში ორი ახალბედა — 10 ნომერი მანიქსი და გარემარბი ოლომო. ბურჯად ისევ უხმეს ურჯუკ რინარდ ლოუს, ვინაც 1992 წლის ეროვნული პირველობის ფინალში მეტოქეს კინაღამ თვლი გაძოსხარა, რის გამოც საზოგადოებრიობის გულსწყრომა დაიმსხვრა. დისკვალიფიკაციის გამო ლოუს მთელი შარშანდელი სეზონი გაუცდა, მაგრამ მისი რეაბილიტაცია რომ შეიძლებოდა, 1950-იანი წლების გამოჩენილმა ოლბლეუსებმა: კევინ სკინერმა და მარკ ერვინმა თავიანთი პალტულები პროტე-

სტის გამოხსნაგად ქვეყნის რაგბის კავშირს გაუგზავნეს. არადა, სკინერი და ერვინი იმით არიან ცნობილი, რომ სისხსტითა და სისხსტით ერთობ გამოუჩენილით თავი დღესდღეობით უკვე ისტორიულად შერაცხულ ტესტ-სერიამში, «ოლ ბლეუსი» 1956 წელს სტუმარ «ქუარცის» 3-1 რომ მოერია.

6 ივნისს უელსის შტეფვამ შეიწირა იმ სერიის გმირი, 62 წლის პიტერ ჯოუნსი. მის მიერ ოკლენდში გატანილმა ლელომ მასინსელს გაამარჯვებინა. თამაშის შემდეგ ერთგულად რადიოს მუშაობა ჯოუნსს მიკროფონი შეაჩუქეს, «აა, მთელს ერს მოახსენე შთაბეჭდილებები». პოდა, გმირმაც თავისი გრძნობები ისეთი უხამი ლექსით გამოხატა, რომ მთელი ქვეყანა გააოგნა და გააწითლა.

სამხრეთაფრიკელი «ქუარცები» 13 წლის შემდეგ ისევ ეწვივნენ ახალ ზელანდიას: 23 ივნისს მათ დაიწყეს 14-თამაშიანი ტურნე, რომლის განრიგაც სტუმართა რელიეფურ გრძნობებსაც ითვალისწინებს, რაკილა ბოლო დროს მოდურ საკვირაო თამაშებს არ შეიცვალა. სამივე ტესტი შაბათისთვისაა დაგეგმილი: 9 ივლისს დანიდინში, 23 ივლისს ველინგტონში, 6 აგვისტოს კი — ოკლენდში.

ამასობაში იტალიამ ყველა განაკვიფრა ავსტრალიაში, სადაც კინაღამ სძლია მსოფლიოს ჩემპიონ «ვოლანტებს». მე-61 წუთისთვის ევროპელები 17:13 იგებდნენ. მათს დამრტმელ ტრიანის ისევ ეჯობნა მსოფლიო რეკორდსმენ ლაინაფისთვის: საქმე ისაა, რომ სეზონურად ლაინაფიც იტალიაში თამაშობს, იქ კი მისმა «ტრევიზო» ნახევარფინალი წააგო ტრიანის «ლაკვი-

ლასთან». ბრისბენის ტესტში ლაინაფს ბარბაი გტკინა და ალბათ ვერც გამოკეთდება ერთ კვირაში, მეორე ტესტამდე, რომელიც უთუოდ რაგბის პოპულარიზაციისათვის ავსტრალიური ბურთობის ადგილის დედის — ვიქტორიის შტატის დედაქალაქ მელბურნში ამ შაბათს გაიმართება. ბრისბენში 73-ე უთამაშე ანგარიში 20:20 იყო; მერე ლაინაფის შემცვლელმა ვოლისმა საჯარიმო შეაგლო და «ვოლანტები» საბოლოოდ დააწინაურა. მარცხის მიუხედავად იტალიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბოლო წლებში სისტემატურად შემთხვევითი რიდი უგებს რუმინეთსა და რუსეთს და რომ შარშან საფრანგეთისა და შოტლანდიის მძლეველ გუნდს ძლიერთა ამა ქვეყნისათვის ტესტის მოთამაშე ქვეყნის სტატუსის ბოძება უკვე ეკუთვნის.

## ტურნამენტი

ოთხ, 15.VI. მასტერტონი (ახალი ზელანდია). ვიარაბაა და ბუში 9 — საფრანგეთი 53  
შაბ, 18.VI. ვანგანო. ახალი ზელანდიის მეორე ნაკრები 25 (17) (3ლ: ლითლი, საფარიმო, დაუდი...); საფრანგეთი 33 (18) (4ლ: გონზალესი, ბენაზი-2, სადურნი...); ბრისბენი. პირველი ტესტი. ავსტრალია 23 (10) (2ლ: პერაბურტი, ბერტი...); იტალია 20 (11) (3ლ: ნომი; 5ს: ტროიანი); სუვა. ტესტი. ფიჯი 8 (3) — უელსი 23 (17) (2ლ: რეიერი, კოლენზი; 2გ, 3ს: ა. დევიზი); ოთხ, 22.VI. ნელსონის უბე 18 — საფრანგეთი 46. დანიბლასისთვის გააძევეს სტუმართა კაპიტანი: ქსაქვიერ პლონდი. ახ. სამხრ. უელსის პროვინციები 20 — იტალია 30. უკუალოვა. ტესტი. ტონგა 9 — უელსი 18 (6ს: ნ. ვანკინი); ხუთ, 23.VI. ტაუპო. სამეფო ქვეყანა 10 — სამხრეთი აფრიკა 46

# სარბიელი

სპორტული გაზეთი  
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით  
ტელეფონი 66441  
რედაქციის მისამართი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალ. ვახტანგის გამზ. 42, II კორპუსი,  
IV სართული. ტელეფონი: 39 48 29  
წერილებისა და სხვა სფოსტო გზავნილებისთვის:  
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208  
იბეჭდება გამომცემლობა «სამშობლოს» საგაზეთო  
კორპუსში; ხრესარაულის 29

დამფუძნებელი:  
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება —  
საგამომცემლო ფირმა  
„მარდი“

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოთხვაძე  
რედაქტორი თამაზ შიგრაძე  
რედაქციის მთავარი: ბიკ ახალაძე, ილია ბაბუ-  
ნაშვილი, ჯაბა ბიბინაშვილი (მთავარი  
რედაქტორის მოადგილე), ზურაბ შიგრაძე,  
მამუკა ჩხეიძე (პასუხისმგებელი მდივანი)